პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 188 (5218) 22 სექტემბერი, კვირა. 1974წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

# კიდევ ერთი გამარჯვება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 20 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0 (0:0).

„ტორპედო": გაბელია, კოსტავა (აბზიანიძე), ფარულავა (სულაქველიძე), ფიფია, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ქვირია, ფეტველიძე, შელია, გაბიჩვაძე.

ასკ: უბიკინი, დუდარენკო, შერგელაშვილი, პანოვი, ხაუხი, ნაზარენკო, ანტონოვი, ჩურკინი, გონჩაროვი, ციბინი, ზაზაროვი (პლეშაკოვი).

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

დუბლიორები — 1:4.

როსტოველთა გუნდის ამბავი კარგად იციან ქუთაისელმა გულშემატკივრებმა. არმიელებს თავიანთი ხელწერა ჰქონდათ, არაერთხელ დაუკავებიათ მაღალი ადგილი საკავშირო ჩემპიონატში, მათს რიგებში პირველხარისხოვანი ოსტატები თამაშობდნენ, მაგრამ გუნდი იოლად ვერ გადაურჩა თაობათა ცვლის რთულ პროცესს და იძულებული გახდა დაეტოვებინა უმაღლესი ლიგა. ახლა როსტოველები იმედიანად იბრძვიან უძლიერესთა შორის დასაბრუნებლად, თუმცა წინა ტურში „ნეფთჩისთან" წაგების შემდეგ კვლავ დადგნენ ქულათა მოგროვების აუცილებლობის წინაშე. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა 20 სექტემბრის მატჩს. დამარცხების შემთხვევაში სტუმრები საგრძნობლად ირთულებდნენ ამოცანას.

ტორპედოელები ახლა აღმავლობას განიცდიან. გუნდის თამაშში გარკვევით ჩანს სტაბილურობა, კოლექტივიზმი, მიზანსწრაფვა. მათ მატჩი დაიწყეს სწრაფი, ხანგრძლივი იერიშებით და თითქმის მთელი ტაიმის მანძილზე არ მოსცილებიან სტუმრების ნახევარს. ეს შეტევები ძირითადად მარცხენა ფლანგიდან ხორციელდებოდა, სადაც აქტიურად მოქმედებდნენ შელია, ჩახუნაშვილი, ჰოხონელიძე, გაბიჩვაძე. ეს უკანასკნელი სისტემატურად ქმნიდა სახიფათო მომენტებს და მისი უშუალო მეურვე დუდარენკო იძულებული იყო აკრძალული ხერხებისთვის მიემართა.

ტორპედოელებს შესვენებამდე სულ ცოტა სამჯერ მაინც ჰქონდათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა. კერძოდ, 30-ე წუთზე გაბიჩვაძემ ხელიდან გაუშვა ბურთის გატანის ნაღდი შანსი.

მეორე ტაიმში როსტოველებმა შედარებით უკეთ ითამაშეს. მათს რიგებში გამოირჩეოდა ჩურკინი, მას მხარი აუბეს პლეშაკოვმა, ციბინმა და „ტორპედოს" მეკარე გაბელიას რამდენიმე ძალიან სახიფათო ბურთის აღება მოუხდა.

მატჩის დასასრულს ინიციატივა კვლავ ტორპედოელებმა იგდეს ხელთ. 84-ე წუთზე აბზიანიძემ შორიდან გარღვევაზე გაიყვანა ჩახუნაშვილი, რომელმაც ზუსტად, ოსტატურად დაარტყა კარში. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა ქუთაისის „ტორპედოს".

მატჩის საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ ნ. ფიფიას და ი. ჩურკინს.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

* * *

ქუთაისის „ტორპედოსა" და როსტოვის ასკ-ს მატჩის წინ ინდუსტრიული ქალაქის ფეხბურთის მოყვარულებმა გულთბილად გააცილეს სპორტული სარბიელიდან ტორპედოელთა ვეტერანი, ამჟამად გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ა. წვერავა.

მარცხენა სურათზე თანაგუნდელებს ა. წვერავა ხელში აყვანილი გაჰყავთ მინდვრიდან.

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ მატჩის მომენტს. ტორპედოელთა შეტევას იგერიებს როსტოველი მ. შერგელაშვილი.

ავტორის ფოტოები.

# დევისის თასზე

## ჯერჯერობით ანგარიშია 1:1

პუნა, 20 სექტემბერი. ინდოეთის ამ ქალაქის ბალახის კორტებზე დღეს დაიწყო დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალური საზონათშორისო მატჩი: ინდოეთი — სსრ კავშირი.

სარბიელზე პირველნი გამოვიდნენ მასპინძელი ქვეყნის პირველი ჩოგანი ვიჯაი ამრიტრაჯი და თბილისელი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია. მწვავე და საინტერესო თამაში ინდოელი სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა — 6:4, 11:9, 6:3.

შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გამარჯვებული ინდოელი ჩოგბურთელის ძმა ამანდი ამრიტრაჯი და სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი. თბილისელმა სპორტსმენმა „შური იძია" — გაიმარჯვა ანგარიშით 6:4, 9:7, 6:3.

მატჩი საზეიმო ვითარებაში გახსნა ინდოეთის პრეზიდენტმა ფახრუდინ ალი აჰმედმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ ეს შეხვედრა ორი ქვეყნის მეგობრული კავშირის შემდგომი განმტკიცების ინტერესებს მოემსახურება.

21 სექტემბერს წყვილთა თამაშია, კვირას კი ერთეულთა ორი დასკვნითი შეხვედრა გაიმართება.

(საკდესი).

# სუპერ სერია-74

● ჩელიაბინსკი, 20 სექტემბერი. „ტრუდის" სპორტსმენებმა აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიხვეჭეს რუსულ რიკაობაში. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ლენინგრადელი ელექტრო-შემკალი ვ. ვორობიოვი, მანქანების ოპერატორი, სტავროპოლელი ი. ლიპენდინი, ვისოკოვსკის სართავ-საქსოვი კომბინატის ელექტრიკოსი ი. არხიპოვი, პოდოლსკელი შემკალი ნ. მულიუკინი და კოპეისკელი მეშახტე ვ. შჩიპუნოვი. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და 14 ქულა დააგროვეს. დაძაბული ბრძოლის შემდეგ II ადგილზე გავიდა „ზენიტის" გუნდი, ხოლო III — „დინამო".

● გოტებორგი, 20 სექტემბერი. შვეციისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრებმა გუნდებმა გაზეთ „იზვესტიის" პრიზის გათამაშების მეორე მატჩი აქ ფრედ დაამთავრეს — 5:5 (3:2, 2:2, 0:1).

● ოსლო, 20 სექტემბერი. ნორვეგიის დედაქალაქის უდიდესი დახურული სტადიონის „იორდალ ამფის" სარბიელზე მიმდინარეობს ნორვეგიის ჰოკეის კავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით ასპარეზობს სსრ კავშირის მეორე ნაკრები — მან ანგარიშით 9:3 სძლია ფინეთის ახალგაზრდულ ნაკრებს და შემდეგ ნორვეგიის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 17:4. ასევე კარგად თამაშობენ შვეციის მეორე ნაკრების წარმომადგენლები, რომლებმაც ჯერ ნორვეგიელებს აჯობეს (11:4), მერე კი — ფინელებს — (5:3). I ადგილის ბედი საბჭოთა და შვეციის სპორტსმენთა შეხვედრაში გადაწყდება.

● მოსკოვი, 20 სექტემბერი. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის ტრადიციულ გათამაშებაში წლეულს სსრ კავშირის ჰოკეისტთა 81 და უცხოეთის 3 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ეს საინტერესო შეჯიბრება ახალი ფორმულით ჩატარდება და რამდენიმე პრიზი გათამაშდება. პრიზებს ოთხ ჯგუფში გამარჯვებული გუნდები დაიმსახურებენ. ეს ჯგუფები მინსკის, კიევის, ლენინგრადისა და რიგის სპორტის სასახლეების ყინულის სარბიელზე იასპარეზებენ. ბრძოლას პირველნი იწყებენ ბელორუსიის დედაქალაქში ჩასული კოლექტივები, მეორე დღეს კი დანარჩენ ჯგუფებშიც დაიწყება თამაშები.

სუპერ სერია-74

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

# კარპოვი — კორჩნოი 1:0 (2 ყაიმი)

მოსკოვი, 20 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მეხამე პარტიაში, როგორც პირველ შეხვედრაში, მეტოქეებმა ინგლისური დასაწყისი გაითამაშეს. მე-7 სვლაზე კარპოვმა (შავები) ახალი გაგრძელება აირჩია, მაგრამ კორჩნოიმ მას ალღო აუღო და თამაშს მწვავე მიმართულება მისცა.

პრეს-ცენტრში თავშეყრილი დიდოსტატები კორჩნოის მხრიდან სხვადასხვა მძაფრ გაგრძელებას აანალიზებდნენ, მაგრამ კორჩნოიმ მოულოდნელად ლაზიერების გაცვლა დაუშვა და კარპოვმა პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. ძნელია იმის თქმა, რამ აიძულა კორჩნოი ბრძოლა გაემარტივებინა.

შემდეგ კარპოვმა ვერ გამოიყენა უპირატესობის გაზრდის შანსი. კორჩნოიმ დაკვირვებული თამაშით გააქარწყლა უშუალო მუქარა და, ცაიტნოტის მიუხედავად, ბრძოლა თანაბარ პოზიციაში გადაიყვანა.

ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია ასეთ პოზიციაში გადაიდო:

კორჩნოი (თეთრები): მფd2, ეh8, მe2, პპ. h3, f4, g3, h4.

კარპოვი (შავები): მფd7, ეh4, მf5, პპ. h5, e6, f6, h5.

კარპოვმა ჩაიწერა თავისი 44-ე სვლა.

მოსკოვი, 21 სექტემბერი. დღეს, თამაშის განახლებისას, კორჩნოი და კარპოვი 58-ე სვლაზე დაზავდნენ.

# სმისლოვი თავის სტიქიაშია

სოჭში დიდი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი X საერთაშორისო ტურნირი ფინიშის ზღურბლზე გავიდა: გათამაშებულია 10 ტური, სათამაშო 5 ტურიღა დარჩა.

მემორიალს ერთპიროვნულად ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი — 8 ქულა. მას ქულანახევრით ჩამორჩებიან თანამემამულენი რ. ხოლმოვი და ა. სუეტინი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს 6 ქულა აქვს.

X ტურში სმისლოვმა სუეტინთან ენდშპილის ვირტუოზული თამაშით ყველა მოხიბლა. მან ოქრომჭედლის მსგავსად ზედმიწევნით ზუსტად წარმართა ბრძოლა და 46-ე სვლაზე გაიმარჯვა. კვლავ იმარჯვა პოლუგაევსკიმ, რომელმაც მეექვსე პარტია მოიგო, ამჯერად ხ. გარსიას (კუბა) სძლია.





საქართველოს სპორტკომიტეტში

# მშენებლობას მეტი ყურადღება!




საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში მოეწყო რესპუბლიკის სპორტულ ნაგებობათა რემონტის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი. თათბირზე მწვავედ დაისვა 1975 წლის სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადასთან და 1976 წლის XXI ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ბაზების მდგომარეობისა და მზადყოფნის საკითხი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს და ინფორმაციებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი რ. ვასაძე, № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი ო. ახსაბაძე, სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი ვ. ლომაძე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე, რესპუბლიკური საწყლოსნო-სანიჩბოსნო ბაზის დირექტორი ვ. შარვაშიძე, ბაკურიანის სამთოსათხილამურო ბაზის დირექტორი ვ. ფანჯაკიძე, ცენტრალური ველოსტადიონის დირექტორი ვ. ბარკალაია, თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი მ. მნათობიშვილი და სხვ.

მშენებელთა მისამართით გამოითქვა შენიშვნები და პრეტენზიები.

დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ბაზების რემონტის დასაჩქარებლად და მშენებარე ნაგებობების მწყობრში ჩასაყენებლად.

თათბირი შეაჯამა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

# არაფრის მომცემი შეჯიბრება

## სეზონი უჩემპიონებოდ

## საქმეს რაღა ეშველება!

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მხოლოდ ორ საღამოს გაგრძელდა საქართველოს მორიგი საუწყებო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. უკვე ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ შეჯიბრება ვერც მონაწილეთა სიმრავლით დაიქადნის და ვერც ბრძოლის სიმწვავით. საასპარეზოდ მარტო ექვსი სპორტსაზოგადოება გამოვიდა, მთლიანად დაკომპლექტებული კოლექტივის გამოყვანა კი ვერც საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულმა „ბურევესტნიკმა“ შეძლო, ვერც „დინამომ“ და „კოლმეურნემ“... აღარას ვამბობთ „განთიადზე“, „ლოკომოტივსა“ და „შრომით რეზერვებზე“, რომლებმაც ძომდევნო ადგილები დაიკავეს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა კარს მოგვადგა. ახლა რაც შეიძლება კარგად მოწყობილი მასობრივი შეჯიბრებები უნდა ტარდებოდეს, რომ იქნებ სადღაც ვიღაც გამოჩნდეს, რომელიც მოსკოვის სტარტებში რესპუბლიკის ნაკრებს გამოადგება. ამ ასპარეზობამ კი ხაზი გაუსვა მძლეოსნობის განვითარებისადმი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების, ამ საზოგადოებებსა და უწყებებში მომუშავე მწვრთნელების შეუწყნარებელ დამოკიდებულებას.

მძლეოსნობა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე კარგა ხანია აღმავლობის გზაზეა, არც ერთი დიდი ტურნირი ისე არ ჩატარდება, მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი რომ არ გაუმჯობესდეს. საქართველოს მძლეოსნებისგან მსოფლიო რეკორდებს დიდი ხანია აღარავინ მოითხოვს, ვინაიდან საკავშირო მიღწევებიც სანატრელი გაგვიხდა. მაგრამ განა სამარცხვინო არ არის რესპუბლიკის დედაქალაქში შეჯიბრება ისე დასრულდეს, რომ თუნდაც ერთი რესპუბლიკური რეკორდი მაინც არ გაუმჯობესდეს?! მით უმეტეს, რომ საქართველოს რეკორდების დონე დაბალია, ბევრი მათგანი სპორტის ოსტატის ნორმატივსაც კი არ შეესაბამება.

ისეთი უხეიროდ ორგანიზებული, უინტერესო, არაფრის მომცემი შეჯიბრება, როგორიც ეს საუწყებო პირად-გუნდური რესპუბლიკური ჩემპიონატი გამოვიდა, საქართველოში ჯერ არ გამართულა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მძლეოსნობა საქართველოში სწრაფი ტემპით ხულ უკან და უკან მიდის.

რითი ვაპირებთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში გამოსვლას? განა მარტო ვ. სანეევი, ა. მოშიაშვილი, ჯ. ფხაკაძე, მ. ალიაკრინსკაია (და შესაძლოა საშუალო დონის კიდევ სამიოდე მძლეოსანი) გაგვიყვანენ ფონს? არადა, სპარტაკიადამდე დარჩენილი ათიოდე თვე უკმარია იმ ხარვეზების გამოსწორებისთვის, რომლებიც რესპუბლიკაში ამ სახეობას წლების მანძილზე უთხრიდა ძირს.

საქართველო მძლეოსნური ბაზების დიდ ნაკლოვანებას განიცდის. ისიც მართალია, რომ ინვენტარი არ კმარა. ამაში განა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, უწყებები არ არიან დამნაშავენი? ვისაც საქართველოში მძლეოსნობის ჩამორჩენა გულს უკლავდა, ვინც „სპორტის დედოფლის“ რევრესს ხედავდა, ბევრჯერ ჰიმაღლა ხმა, მარტო „ლელომ“ რამდენი კრიტიკული, პრობლემური წერილი გამოაქვეყნა, მაგრამ კრიტიკა ყურად არავინ იღო, მშველელი არსაიდან ჩანდა. და ასე თანდათან გაზაფხულის თოვლივით გაქრა საქართველოს მძლეოსანთა ისედაც მოკრძალებული მაჩვენებლები.

რესპუბლიკის ბოლო ჩემპიონატში ჩათვლა გამხელებული როდი იყო. საკმარისი გახლდათ სპორტსმენს მეორე თანრიგის (!) შედეგი ეჩვენებინა, რომ იგი გუნდისთვის სასარგებლო კაცი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ სახეობაში 2-3 ათლეტი ძლივს შეგროვდა და მათგანაც ზოგმა ჩასათვლელი ნორმატივიც კი ვერ შეასრულა. 100 მეტრზე თარჯრბენის, 800 მეტრზე ქალთა შეჯიბრების და 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენის სტარტზე კი საერთოდ არავინ გამოსულა. ამიტომ ამ სახეობებში არც ასპარეზობა ჩატარებულა და რესპუბლიკაც უჩემპიონებოდ დარჩა.

ვთქვათ, ეს სახეობები შედარებით ძნელია, არავინ ეტანება და ასპარეზობაც ამიტომ ჩაიშალა (ეს უსაფუძვლო გამართლებაა), მაგრამ სპრინტერები რაღას იტყვიან? არ ვიცით რა ვუწოდოთ იმას, რომ ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში სარბიელზე მარტო 17 წლის გ. ჩუბუკინა („ლოკომოტივი“) გამოვიდა და ისიც ამაოდ გაისარჯა — 13,1 წამი ძლივს აჩვენა, რაც მხოლოდ მესამე თანრიგის შედეგია. ასევე ერთი მონაწილე იყო ქალთა შორის 1500 მეტრზე რბენაში და ისიც, „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ლ. პილშჩიკი ამაოდ დაშვრა.

რა მასობრიობაზე და მაღალი შედეგებისთვის ბრძოლაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა 10000 მეტრზე რბენაში, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენში, ქალთა შორის ბირთვის კვრაში სამ-სამი მძლეოსანი ასპარეზობდა, ხუთჭიდში გამარჯვებისთვის კი ორი მონაწილე იბრძოდა.

რესპუბლიკაში მომუშავე მწვრთნელები კარგა ხანია შრომატევად სახეობებში სპორტსმენთა მიზიდვისა და აღზრდისთვის თითს თითზე არ აკარებენ. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ 10000 მეტრზე რბენაში მონაწილეთაგან გამარჯვება 36 წლის ვ. ნესტერენკოს დარჩა, III ადგილი კი 38 წლის გ. სტრაგეცკიმ (ორივე „განთიადი“) დაიკავა. II ადგილზეც მათი თანაგუნდელი ა. გერცვოლფი გავიდა, ნესტერენკომ ორივეს 4 წუთზე მეტით აჯობა და ჩათვლაც ერთადერთმა მიიღო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მონაწილე გუნდი სპორტის ოსტატებითა და ოსტატობის კანდიდატებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. თუ რესპუბლიკის ჩემპიონატს ამ საზომით მივუდგებით, სურათი აქაც მეტისმეტად არასახარბიელოა — თბილისის სტარტებში სპორტის ოსტატის შესაბამისი შედეგი ვერავინ აჩვენა, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს კი მხოლოდ ხუთი (!) მონაწილე შეწვდა.

თავს ნუ მოვიტყუებთ, ნურც სხვას შევიყვანთ შეცდომაში. უმჯობესია ახლავე ვაღიაროთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს მხოლოდ ორიოდე მძლეოსანი თუ შეძლებს საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას.

სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად პირველხარისხოვანი ბაზები, საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და შრომისმოყვარე მწვრთნელთა კადრები და ნიჭიერ, პერსპექტიულ ათლეტთა დიდი რეზერვიც რომ გვყავდეს, სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო აღარ კმარა. არადა, როდის უნდა მოეთხოვოთ პასუხი მათ, ვინც საქართველოში „სპორტის დედოფლის“ განვითარებისთვის ზრუნვას ზურგი შეაქცია და რესპუბლიკის გუნდის ბრძოლისუნარიანობა არარაობად აქცია?

• • •

ვინაიდან მონაწილეთა შედეგები საერთოდ უხეირო იყო, მხოლოდ ჩემპიონებს გაგაცნობთ.

**ქალები. რბენა. 200 მ.** ნ. ტერენტიევა („შრომითი რეზერვები“) — 27,4, **400 მ.** თ. მატიცინა („სპარტაკი“) — 1.00,1. **ესტაფეტა 4×100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 51,8. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ალიაკრინსკაია—165. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. შმაკოვა (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 568. **შუბის ტყორცნა.** დ. საბაური („განთიადი“) —50,82. **ბადროს ტყორცნა.** ც. ჯაფარიძე („სპარტაკი“) — 49,70. **ბირთვის კვრა.** გ. ბერაია („ბურევესტნიკი“) — 13,40. **ხუთჭიდი.** ლ. შუმილინა („კოლმეურნე“) — 3514 ქულა.

**ვაჟები. რბენა. 100 მ.** თ. ჩიტაძე („კოლმეურნე“) — 10,9, **200 მ.** ბ. მექვაბიშვილი („დინამო“) — 22,2, **400 მ.** ს. არტემიევი („კოლმეურნე“) — 48,7, **800 მ.** ვ. ლუკინოვი („დინამო“) — 1.55,1, **1500 მ.** მ. შაპოვალოვი („ბურევესტნიკი“) — 4.02,6, **5000 მ.** ე. გათიკოევი („კოლმეურნე“) — 15.60,4. **ესტაფეტა. 4×100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 42,9, **4×400 მ.** „ბურევესტნიკი“ — 3.25,1. **თარჯრბენი. 110 მ.** ვ. ზ.ბოლოტნი („დინამო“) — 15,8, **400 მ.** ზ. თავბერიძე („კოლმეურნე“) — 54,6. **20 კმ-ზე სპორტული სიარული.** ი. დელა-როსა („განთიადი“) — 1:36.37,0. **სიგრძეზე ხტომა** ვ. ჩუკანოვი („სპარტაკი“) — 764. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. პოპოვი („შრომითი რეზერვები“) — 205. **სამხტომი.** მ. ფრიდმანი („სპარტაკი“) — 15,73. **ჭოკით ხტომა.** მ. თათევოსიანი („კოლმეურნე“) — 490 სმ. **შუბის ტყორცნა.** ნ. ზვიადაური — 74,28. **ბადროს ტყორცნა.** გ. გუდაშვილი (ორივე—„დინამო“) 57,68. **უროს ტყორცნა.** გ. ელიაშვილი („ბურევესტნიკი“) — 60,26, **ბირთვის კვრა.** ა. ნიკონენკო („დინამო“) — 16,10. **ათჭიდი.** ა. ტყემალაძე („კოლმეურნე“) — 6016 ქულა.

**რ. მაღრაძე.**

# როცა სპორტი უყვართ

ზნაურის რაიონის სოფელი ავნევი ლამაზი და შეძლებულია. აქაურ ახალგაზრდებს უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. სოფლის საჭიდაო მოედანზე ხშირად გაისმის ზურნის ხმა. ჭიდაობის მოყვარულნი მოდიან აქ ცხინვალიდან, გორიდან, ზნაურიდან, ქარელიდან... მაყურებლები არაერთხელ მოხიბლულან სპორტის ოსტატების გ. თანდილოვის, ტ. იკაევის, ვ. ფუხაევის, ვ. თადტაევისა და სხვების მოხდენილი ჭიდაობით.

განა მარტო ჭიდაობა უყვართ ავნეველებს? ტრადიციად იქცა ფეხბურთში მათი სოფლის მკვიდრის ა. კაზახაშვილის სახელობის თასზე შეჯიბრება, რომელშიც რაიონის უძლიერესი გუნდები მონაწილეობენ. შარშან ავნეველმა ფეხბურთელებმა „ოქროს თავთავის“ საოლქო თასი მოიპოვეს, წლეულს კი — საოლქო პირველობაში II ადგილზე გავიდნენ.

ავნეველი სპორტსმენები რაიონულ სპარტაკიადებშიც წარმატებით მონაწილეობენ. მაგალითად, წლეულს კალათბურთში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს, ქართულ ჭიდაობაში კი მეორენი იყვნენ.

კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივში (თავმჯდომარე ნ. გეგელაშვილი) 436 კაცია გაერთიანებული. მათს განკარგულებაშია კალათბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და ფეხბურთის მოედნები. გაზაფხულზე კოლმეურნეებმა მოაწყვეს ხელოვნური ტბა, სადაც ცურვაში მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებენ. სხვათა შორის, წლეულს მშდ კომპლექსის ნორმატივი სპორტის სხვადასხვა სახეობაში 88 ფიზკულტურელმა ჩააბარა.

თამამად ითქმის, რომ ავნეველთა სპორტული მოედნები მშრომელთა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის დასვენების ნამდვილ ცენტრებადაა გადაქცეული.

**ი. იმერლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

სოფ. ავნევი,
ზნაურის რაიონი.

# სპარტაკიადის პროგრამით

სოხუმის დოსააფის აუზში ორ დღეს გაგრძელდა აფხაზეთის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება ცურვაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ ქალაქებისა და რაიონების გუნდები, რომელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა გაგრის ნაკრები. II ადგილზე გავიდნენ სოხუმის მოცურავეები, III — გუდაუთელები.

სპარტაკიადის ნამდვილი გმირი იყო გაგრელი გოგონა გ. მეტრეველი („განთიადი“), რომელმაც 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჯობა ყველას. სოხუმის დინამოელმა ნ. რეზვანმა გაიმარჯვა გულაღმა 100 და 200 მეტრზე ასპარეზობაში. 200-მეტრიან მანძილზე მისი შედეგი — 2.53,3 — აფხაზეთის რეკორდია.

სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ს. შირინიანმა (გაგრა) ჩემპიონობა მოიპოვა ბრასით 100 და 200 მეტრზე ცურვაში.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში უძლიერესი იყო პ. გულბა (გუდაუთა). 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა, 400 და 1500 მეტრზე ასპარეზობა ვ. ზადოროჟნის (სოხუმი) გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ნ. ლიუბიცკიმ ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე გულაღმა შეჯიბრებაში.

**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

## მორიგი ტირაჟი

**მოსკოვი, 20 სექტემბერი.** დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 26-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

**„სპორტლოტო“** — 5 (ბადმინტონი), 22 (ციგურები), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 33 (რეგბი), 45 (ფეხბურთი);

**„სპორტლოტო-2“** — 1 (საავიაციო სპორტი), 5 (ბადმინტონი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 21 (ცხენოსნობა), 31 (ცურვა), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

## საჭიდან სასროლეთზე

წალენჯიხის დოსააფის რაიკომმა ჩაატარა ავტორალი. სპორტსმენებმა ჯერ 149-კილომეტრიანი ძნელი ტრასა გაიარეს, ხოლო შემდეგ სტადიონზე ტყვიის სროლაში მოსინჯეს ძალა.

ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს ა. ხარჩილავამ (ჯგალი), გ. მესხიამ (ობუჯი), ა. აბრალავამ (საჩინო) და პ. ბერიშვილმა (ლია).

შეჯიბრებას თავი აარიდეს ნაკიფუს, ჯვარის, ლარის, მედანის, ფახულანის და სხვა სოფლების წარმომადგენლებმა.

**ზ. შანავა,**
**წალენჯიხის დოსააფის რაიკომის თავმჯდომარე.**
**ვ. ძაძამია,**
**სპორტულ-ტექნიკური კლუბის უფროსი.**

## [illegible]

**✦ გულრიფშში**

ჩატარდა რაიონის პირველობა საავტომობილო სპორტში. „გაზ-52“ მარკის მანქანებით ასპარეზობა გულრიფშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა მოიგო, „გაზ-51“-ს მარკის ავტომობილებით შეჯიბრებაში კი გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა იმარჯვეს. პირად პირველობაში ყველას აჯობეს მ. კეიახმა (კიროვის სახელობის კოლმეურნეობა) და კ. ლაკობამ (ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობა).

**შ. ჯალაღონია.**

ROMA '74

# ყველა გზა რომში მიდის

„...რომის რუკა მოვიმარჯვეთ და ვენეციის მოედნისკენ ფეხით გავეშურეთ. 20 სექტემბრის ქუჩა გავლიეთ და რომის ისტორიის პირველი საოცრების წინაშე აღმოვჩნდით. თეთრი ქვითა და მარმარილოთი აშენებულ უზარმაზარ ნაგებობას უამრავი ქანდაკება და განსაკუთრებით საინტერესო — ვიქტორ ემანუელ მეორის მონუმენტი ამშვენებს. აქედან ხელისგულივით ჩანს კოლიზეი, ფორო რომა, პალატინი, თერმი კარაკალა, სადაც ღია ცის ქვეშ 10 ათასზე მეტი მაყურებლის თანდასწრებით საოპერო სპექტაკლები იმართება. 31 აგვისტოს სწორედ აქ ევროპის ჩემპიონატზე ჩასულთათვის ჯუზეპე ვერდის „აიდა“ წარმოადგინეს (სამწუხაროდ, ჩვენ სპექტაკლს ვერ ჩავუსწარით).

თერმი კარაკალა იქაა განლაგებული, სადაც აპიის უძველესი გზა იწყება, სციპიონების საფლავთან ახლოს, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ქრისტიანული რელიგიის თანახმად, წმინდა პეტრემ რომის დატოვებისას ქრისტე შენიშნა.

ამ ნანგრევებში თეატრი 1937 წელს დაფუძნებულა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ გადაკეთებულა და ახლა მის პარტერში 10 ათასი მაყურებლის ადგილები ისეა განლაგებული, რომ სცენას ყველა შესანიშნავად ხედავს.

ვენეციის მოედნიდან კაპიტოლიუმს ვესტუმრეთ. ფორო რომასაც ვეწვიეთ. უძველესი რომის ამ ნანგრევების გულმოდგინედ დათვალიერება, როგორც ყოველი ისტორიული ძეგლისა, ცალცალკე რამდენიმე დღეს მოითხოვს. ჩვენ ეს შესაძლებლობა ფორო რომაში რამდენიმე საათში ამოვწურეთ და კოლიზეის მივადექით. ამ უძველესი, უზარმაზარი სასპარეზოს ნახვით ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რის გაკეთება შეუძლია ადამიანის გამრჯე მარჯვენას.

იტალიაში, განსაკუთრებით რომში, ძველი თუ ჩვენი წელთაღრიცხვის სხვადასხვა პერიოდში აგებული უამრავი ისტორიული ძეგლია, რომლებიც ახლანდელ ქალაქს კოლორიტულად ერწყმიან. აი, სწორედ ეს საოცრებანია, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს იზიდავს. ეს კი სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტერიაა.

...ჩემპიონატის საზეიმო გახსნის დრო მოახლოვდა, პრეს-ცენტრში შევიარეთ, ბიულეტენები გადავათვალიერეთ და ოლიმპიური სტადიონისკენ გავეშურეთ.

ჟურნალისტებისთვის ოლიმპიურ სტადიონზე საუკეთესო ადგილები გამოეყოთ. ზეიმის სანახავად 70 ათასამდე კაცი მაინც შეგროვდა. ზუსტად დანიშნულ დროზე ჩემპიონატის გახსნის ცერემონია დაიწყო, მოდიან ხუთი კონტინენტის სიმბოლურ ფორმებში გამოწყობილი ჭაბუკები და ქალიშვილები. მოაქვთ წარწერები — როდის და სად ჩატარდა კონტინენტის წინა ჩემპიონატები:

1934 წელი. 7-9 სექტემბერი. ტურინი;

1938 წელი. 3-5 სექტემბერი. პარიზი;

1946 წელი. 22-25 აგვისტო. ოსლო;

1950 წელი. 23-27 აგვისტო. ბრიუსელი;

1954 წელი. 25-29 აგვისტო. ბერნი;

1958 წელი. 19-24 აგვისტო. სტოკჰოლმი;

1962 წელი. 12-16 სექტემბერი. ბელგრადი;

1966 წელი. 30 აგვისტო-4 სექტემბერი. ბუდაპეშტი;

1969 წელი. 16-21 სექტემბერი. ათენი;

1971 წელი. 10-15 აგვისტო. ჰელსინკი;

1974 წელი. 1-8 სექტემბერი. რომი (მომავალი ჩემპიონატი 1978 წელს პრაღაში გაიმართება).

მოდიან ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი მსაჯები და ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების სპორტსმენთა კოლონები ეროვნული დროშებით.

სპორტსმენთა შორის ერთადერთი ალბათ 38 წლის საბჭოთა მძლეოსანი ვლადიმერ გოლუბნიჩი იყო, რომელმაც 14 წლის წინათ ამავე სტადიონზე ოლიმპიური თამაშების გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო სვლაში მიიღო მონაწილეობა.

ზეიმი კარგა ხანს გაგრძელდა. ჩემპიონატის ალამი აღიმართა!.. ხვალ პირველი სტარტებია.

## ბრძოლები დაიწყო

მესანიშნავი დილა გათენდა. პირველი სტარტები 17 საათისთვისაა დანიშნული. მანამდე საკმარი დრო გვაქვს რომის დასათვალიერებლად.

17 საათია. სტადიონის სარბენ ბილიკებზე 400 მეტრზე მორბენალთათვის თარჯები დაუდგმათ. ეს ჩემპიონატის პროგრამის პირველი სახეობაა. მან ნახევარფინალისტები უნდა გამოავლინოს. პირველ სტარტზე წარმატებას კი კოლექტივისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა გუნდის დებიუტანტმა ვ. სავჩენკომ რბენა აუღელვებლად დაიწყო, მერვე თარჯზე ტემპს უმატა და მხოლოდ პრაღელ მ. კოდეშს ჩამორჩა. სავჩენკოს დროა 50,36. ორ სხვა გარბენში გამარჯვებით ნახევარფინალისკენ გზა გაიკაფეს დ. სტუკალოვმა (50,48) და სსრ კავშირის ჩემპიონმა ე. გავრილენკომ (50,28). დასაწყისი კარგია.

მერე სარბენი ბილიკები 100 მეტრზე მოასპარეზე ვაჟებს ღაეთმოთ. როცა სტარტზე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბორზოვი გამოჩნდა, ტრიბუნებზე მქუხარე ტაში გაისმა. მაგრამ ოვაციების ქარიშხალი ამოვარდა, როცა მორიგი გარბენისთვის სამზადისს იტალიელი პ. მენეა შეუდგა. საერთოდ, იტალიელები ძალიან მხურვალედ უჭერდნენ მხარს თანამემამულე სპორტსმენებს. სარბენ ბილიკებსა თუ სექტორებში მასპინძელთა გამოჩენისას ხანგრძლივი გამამხნევებელი შეძახილები გაისმოდა. ეს შეძახილები გამაყრუებელ ყიჟინში გადადიოდა და მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე იტალიელი მძლეოსანი, თუნდაც ყველაზე უხეიროდ გამოსულიყო, ფინიშამდე არ მივიდოდა. ხოლო თუ მასპინძელი საპრიზო ადგილსაც გამოკრავდა ხელს, ტრიბუნები ეროვნული ალმების ტყეში ეფლობოდა, რასაც ღოროტოტოების ჭყვიტინი და აღტაცების შეკივლებანი ერთვოდა.

თავი არც ერთს მოუკლავს და არც მეორეს, მაგრამ გარბენი ბორზოვმაც იოლად მოიგო (10,49) და მენეამაც (10,46). ნახევარფინალში ი. სილოვიც და ა. კორნელიუკიც გავიდნენ.

ამ დღეს მთავარი ბრძოლები ბირთვის კვრის სექტორში, 3000 მეტრზე (ქალები) და 10000 მეტრზე რბენაში გაიმართა.

ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდსმენს ნ. ჩიჟოვას საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა. ფინალის პირველივე ცდაზე მ. ადამი (გდრ) დაწინაურდა — 20,43 მ. ჩიჟოვამ მასთან 13 სმ წააგო. მსოფლიო რეკორდსმენს მეორე ცდაზე ხელი მოეცარა — კვრა გაუფუჭდა. სამაგიეროდ მესამე ცდა იღბლიანი გამოდგა: — ჩიჟოვას ბირთვი 20,78 მეტრზე დაეცა. ეს ევროპის ჩემპიონატების რეკორდი იყო, რომლის გაუმჯობესება შემდეგ ველარავინ შეძლო. პირველი ოქროს მედალი საბჭოთა მძლეოსანმა მოიპოვა და მის პატივსაცემად „სტადიო ოლიმპიკოზე“ საბჭოთა კავშირის ჰიმნი გაისმა.

საბჭოთა სპორტის ქომაგებს ამ დღეს სინანულიც ელოდათ. მჯობნს რა გამოლევს, მაგრამ აბა ვინ იფიქრებდა, რომ 3000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენი ლ. ბრაგინა ოქროს მედალს სხვას დაუთმობდა (შემდგომში, 1500 მეტრზე რბენის ერთ-ერთ ნახევარფინალში ბრაგინამ მეექვსე შედეგი — 4.17,8 — აჩვენა და ბრძოლას გამოეთიშა).

ბრაგინა 3000 მეტრზე რბენას დიდხანს ლიდერობდა. 1000 მეტრი 2 წუთსა და 57,4 წამში დაფარა და მთავარი მეტოქე ნ. ჰოლმენი (ფინეთი) 0,8 წამით ჩამოიტოვა. მათ შორის ინგლისელი ჯ. სმითი მირბოდა. მერე ბრაგინას წინ ოთხი ქალი აღმოჩნდა, მათ შორის სმითი და ჰოლმენიც. ამ უკანასკნელს ფინიშისთვის მეტი ენერგია აღმოაჩნდა და იოლადაც გაიმარჯვა — 8.55,2. ბრაგინა მას წამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. თ. პანგელოვა (9.10,6) და ი. ბონდარჩუკი (9.16,6) ცუდად გამოვიდნენ — VIII და IX ადგილები დაიკავეს.

ჰოლმენი მალე 23 წლისა გახდება. ამ დისტანციაზე მისი საუკეთესო შედეგი 8.59,0 იყო. აქ კი, რომში, ფინეთის რეკორდიც დაამყარა. ნინა რომის ჩემპიონატისთვის ქმრის, ცნობილი სტაიერის რ. ჰოლმენის ხელმძღვანელობით დიდი ხანია გულმოდგინედ ემზადებოდა. ზამთარში 3 თვე პორტუგალიის სტადიონებზე ვარჯიშში გაატარეს და აი, შედეგიც.

პირველი დღის მესამე ფინალური შეჯიბრება 10000 მეტრზე რბენაში ჩატარდა. რომის ოლიმპიადაში ეს დისტანცია პ. ბოლოტნიკოვმა მოიგო — 28.32,2. ბოლოტნიკოვი რომს ახლაც ეწვია, მაგრამ როგორც ტურისტი და ცდილობდა ნ. პუკლაკოვსა და ვ. ზოტოვს რჩევა-დარიგებით დახმარებოდა.

ბოლოტნიკოვს ძველი ტივოლის (იგი იმპერატორ ადრიანოს II საუკუნეში აუშენებია) დათვალიერების დროს შევხვდით. ამ ნაქალაქარში ბევრი საინტერესო ძეგლია... [illegible] ...ში (ახლა მას ...ს [illegible] ყურადღებას ისიც [illegible] ...ში სპორტი სათანადო დონეზე ყოფილა — ჰქონიათ სტადიონი და რამდენიმე აუზი, რომელთა ნარჩენები ახლაც შესანიშნავად ჩანს. ვნახეთ ბერძნული და ლათინური სკოლების, თეატრების, ქალთა და ვაჟთა თერმული აბანოების ნანგრევები (ამ აბანოების შინაგანმა წყობამ ერთგვარად თბილისის გოგირდის აბანოები მოგვაგონა).

ერთი აუზის დათვალიერებისას საბჭოთა ტურისტებიდან ვიღაც აცოცდა საკმაოდ მაღალ ქვის სვეტზე, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე ქანდაკებისა თუ კოლონადის სვეტს წარმოადგენდა. ეს პეტრე ბოლოტნიკოვი იყო. ცნობილმა სპორტსმენმა რომაელ ღმერთკაცთა პოზა მიიღო და ფოტოაპარატებიც აჩხაკუნდა.

პეტრემ სწორედ მაშინ გვითხრა:

— პუკლაკოვს ტემპისთვის მეათე კილომეტრის დასაწყისში რომ მოემატებინა, მეხუთე ადგილს კი არ დასჯერდებოდა, ჩემპიონობას დაისაკუთრებდა, მან ჩემპიონთან, გდრ-ის მძლეოსანთან მანფრედ კუშმანთან (28.25,8) მხოლოდ 3,4 წამი წააგო. ფიზიკური მონაცემები ორივეს თითქმის ერთნაირი აქვს: კუშმანიცა და პუკლაკოვიც 175 სანტიმეტრია, კუშმანი 62 კილოგრამს იწონის, პუკლაკოვი — კილოთი ნაკლებს, სამაგიეროდ, ჩებოქსარელი სტაიერი 5 წლით უფროსია და მეტი სპორტული სტაჟი აქვს. ერთი სიტყვით, კოლია ტაქტიკური შეცდომის მსხვერპლი გახდა.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

• • •





სურათებზე: სვეტზე შემდგარი პ. ბოლოტნიკოვი — „კაცღმერთი“; 100 მეტრზე ვაჟთა ასპარეზობის მომენტი.

ავტორის ფოტოები.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 187.



# სერიოზული ხარვეზები

დამთავრდა აფხაზეთის ჩემპიონატი ფიზკულტურის კოლექტივების გუნდებს შორის. უძლიერესის წოდება დამაჯერებლად მოიპოვა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ვ. სახოკია), რომელმაც გათამაშების 14 მატჩში მხოლოდ ერთხელ იგემა წაგების სიმწარე, 59 გოლი გაიტანა, საკუთარ კარში კი 19 ბურთი მიიღო.

მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ გაგრის № 16 სამშენებლო ტრესტისა (მწვრთნელი გ. სიჭინავა) და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (მწვრთნელი ვ. ხარტაკოპულო) გუნდები.

შეჯიბრებამ ბევრი სერიოზული ხარვეზი გამოავლინა და არსებითად ვერ გადაჭრა დასახული ამოცანები. მერხეულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი გათამაშებიდან მოიხსნა კალენდარული მატჩების ხშირი ჩაშლისთვის, ჩემპიონატმა ვერ გამოავლინა ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეები, რომელთა რიცხვიდანაც შეიძლებოდა არჩევანის გაკეთება მოწინავე კოლექტივებისთვის.

ქებას იმსახურებენ მხოლოდ ოქუმის ჩაის ფაბრიკის ფეხბურთელები (მწვრთნელი შ. შამათავა), რომლებმაც შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს მაჩვენებლები და ყველაზე კორექტული გუნდისთვის დაწესებული პრიზიც მოიპოვეს.

ჩემპიონატის მატჩებში მსაჯები იძულებული იყვნენ სხვადასხვა უწესო საქციელისთვის მინდვრიდან გაეძევებინათ 10 ფეხბურთელი, თანაც დისციპლინარული დარღვევები პრიზიორ გუნდებზე მოდის. მაგალითად, გაგრის № 16 სამშენებლო ტრესტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სოხუმი) გუნდების მატჩში მინდვრიდან გააძევეს სტუდენტთა გუნდის წევრი ზ. კიუტი. ამავე გუნდების მეორე წრის შეხვედრაში ასევე მინდვრიდან გააძევეს სტუდენტთა კოლექტივის ფეხბურთელი გ. კაბაკოვი.

ამგვარ შემთხვევათა ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა.

ეს ფაქტები ცხადად მეტყველებენ, რომ აფხაზეთის ფეხბურთელთა გუნდებში დაბალ დონეზე დგას სასწავლო-საწვრთნელი და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. მწვრთნელებს მართებთ მეტი მონდომება და უნარი გამოიჩინონ მაღალი კლასის ფეხბურთელთა აღზრდაში.

**გ. პოლოსიანი,**
გათამაშების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# ბაიკალ — ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე

**ირკუტსკის ოლქი.** ბაიკალ — ამურის მაგისტრალი, რომელსაც საბჭოთა ხალხი აშენებს, უამრავი წიაღისეული სიმდიდრით ალსავსე მხარეში გაივლის. სწორედ ბუნების ეს წყალობა უნდა ჩააყენონ მშენებლებმა სამშობლოს სამსახურში.

მამაცობის ტრასაზე, რომელიც სიგრძით 3200 კილომეტრი იქნება და მდინარე ლენაზე მდებარე უსტ-კუტს ამურის კომსომოლსკთან დააკავშირებს, გზის მშენებელთა დაბები იქმნება. ერთ-ერთი ასეთი დაბაა ზვიოზდნი — მაგისტრალის მშენებლობის დასავლეთ უბნის საყრდენი პუნქტი. აქ კომკავშირის წარგზავნილები შრომობენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.



თავისუფალ დროს ისინი, ცხადია, სპორტს არ ივიწყებენ.

სურათზე: მშენებელთა საფეხბურთო ტურნირის მომენტი.

ვ. ხრისტოფოროვის ფოტო (სატდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# მეორე წრიდან

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, 18 სექტემბერი ევროპის საკლუბო ტურნირების დიდი დღე იყო — გასულ ოთხშაბათს გაიმართა კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მერვედფინალის პირველი წრე და უეფა-ს თასის გათამაშების თექვსმეტედფინალის პირველი წრე.

აი, კიდევ ორი შეხვედრის შედეგები:

თასების მფლობელთა თასის გათამაშების მატჩში ისლანდიის „ფრამმა" მადრიდის „რეალს" უმასპინძლა. გაიმარჯვეს ესპანელებმა — 2:0. ორივე გოლი მარტინესმა გაიტანა.

უეფა-ს თასის გათამაშების მატჩი კოპენჰაგენში გაიმართა. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბოლდკლუბენი" და მადრიდის „ატლეტიკო". საინტერესო თამაში დანიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. გოლები გაიტანეს: დანიელთაგან — სიორენსენმა, ჰოლმსტრიომმა, ბერნბორგმა, ესპანელთაგან — აიალამ, სალსედომ.

მატჩების უმეტესობა ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა. მაგრამ აი, ნეაპოლში ადგილობრივმა გულშემატკივრებმა — საქვეყნოდ ცნობილმა „ტიფოზებმა" საკუთარი თავი დაისაჯეს: ადგილობრივი „ნაპოლისა" და უნგრეთის „ვიდეოტონის" მატჩზე (უეფა-ს თასი) ისინი უბილეთოდ აპირებდნენ შესვლას, ზედახორა გამოიწვიეს, რის გამოც 30-მდე კაცი დაშავდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა.

ახლახან დაწყებული შეჯიბრებების სტარტზე მხოლოდ წინა ტურნირებში გამარჯვებული გუნდები — მიუნჰენის „ბაიერნი" (გფრ) და „მაგდებურგი" (გდრ) არ გამოსულან. ისინი ბრძოლაში მეორე წრიდან ჩაებმებიან: „ბაიერნი" — ჩემპიონთა თასის, ხოლო „მაგდებურგი" — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

## მორენა — „რეალში"

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი ს. ბერნაბეუ მოელაპარაკა ესპანეთში მყოფი ცნობილი ურუგვაული კლუბის „პენიაროლის" (მონტევიდეო) ხელმძღვანელობას ცენტრალურ თავდამსხმელ ფ. მორენას შესახებ. მორენა ამიერიდან „რეალში" ჩაირიცხება. ასეთი ტიპის შემტევი, აგრესიული ფეხბურთელი „რეალს" ბოლო წლებში აშკარად აკლდა.

## კრუიფი: „ჩემი ბრალია!"

ჰოლანდიაში გამოვიდა წიგნი, რომელიც ეძღვნება მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს. მასში კრუიფი წერს: „ჩემი ბრალია, რომ ჰოლანდიელები მსოფლიო ჩემპიონები ვერ გახდნენ".

კრუიფი ამბობს, რომ მან აშკარად ცუდად ითამაშა ფინალურ მატჩში, რამაც თავის მხრივ გფრ-ის გუნდს გამარჯვებაში შეუწყო ხელი.

## შიონსაც წასვლა უნდა

ჟურნალ „დი ცაიტის" კორესპონდენტთან საუბარში გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰ. შიონმა განაცხადა, რომ 1975 წლის 31 დეკემბერს მისი ხელშეკრულება ნაკრებთან მთავრდება და აღარც აპირებს მის განახლებას. ამის საპასუხოდ გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცია მას სთხოვს არ მიატოვოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დამთავრებამდე.

იმ დიდ დანაკარგებთან დაკავშირებით, რომლებიც გფრ-ის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ განიცადა, შიონი ახალი ფეხბურთელების გასინჯვას აპირებს. მაგალითად, იგი ყურადღებას აქცევს 19 წლის მცველს კორბელს და 25 წლის ნახევარმცველს ნიკელს (ორივე — მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი"). შიონმა ჩადაწყვიტა ნაკრებში აღადგინოს 32 წლის თავდამსხმელი ჰელდი (ოფენბახის „კიკერსი"), რომელიც, ასაკის მიუხედავად, საუცხოოდ თამაშობს.

## რეკორდები

ტუნი, 20 სექტემბერი. შვეიცარიის ამ ქალაქში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. კარგად აიღეს შეჯიბრების სტარტი საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც უკვე ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრებმა I ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე შეჯიბრებაში. მისი შედეგი — 2244 ქულა — 5 ქულით აღემატება მსოფლიო რეკორდს.

II და III ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის და ავსტრიის მსროლელები, რომელთაც ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ — 2235 ქულა.

ამ ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა კრასნოიარსკელმა გ. ზაპოლსკიხმა — 566 ქულა 600-დან.

ასევე კარგად დაიწყეს 41-ე ჩემპიონატი საბჭოთა ქალებმა. პნევმატური შაშხანით 10 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიგო 34 წლის მოსკოველმა ტ. რატნიკოვამ — 386 ქულა 400-დან. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქ. ბოიკო (ლენინგრადის ოლქი) — 384 ქულა და რიგელი ზ. ზარინია — 380.

გუნდურ ჩათვლაში ამ სამეულმა მსოფლიო რეკორდით (1150 ქულა) გაიმარჯვა, 3 ქულით გააუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც ასევე სსრ კავშირის გუნდს ეკუთვნოდა.

II ადგილზეა პოლონეთის ნაკრები (1121 ქულა), III — გფრ-ის გუნდი (1111).

## ჰოკეი გაზეთ „იზვესტიის" პრიზი იყო... 19

◆ ოსლო, 21 სექტემბერი. ნორვეგიის ჰოკეის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის მეორე ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 5:4 (1:1, 2:2, 2:1) სძლია შვეციის მეორე ნაკრებს. ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა დევიატოვმა, მაგრამ 4 წუთის შემდეგ, როცა საბჭოთა გუნდის ერთი მოთამაშე „საბრალდებო სკამზე" იჯდა, ლუნდსტრიომმა საპასუხო შაიბა გაიტანა. ბრძოლა შემდგომშიც მწვავე იყო. კარგად თამაშობდა შვედების მეკარე ჰოლმკვისტი, მაგრამ საბჭოთა ჰოკეისტებმა მაინც იმარჯვეს.

◆ სტოკჰოლმი, 21 სექტემბერი. ადგილობრივი სპორტის სასახლე „იუჰანესჰოფის" ყინულის სარბიელზე გაზეთ „იზვესტიის" პრიზის ტრადიციული გათამაშების მესამე, დასკვნით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეციისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 9:1 (3:0, 2:1, 4:0). ფინელთა კარში 3 შაიბა გაიტანა ს. კარლსონმა, სულ კი ს. კარლსონ — ბრასარ — ვიკსტრიომის სამეულის ანგარიშზე ამ მატჩში გატანილი 9 შაიბიდან 5 გოლი მოდის. ამრიგად, შინ გამართული სამი თამაშიდან შვედებმა ორი მოიგეს და ერთი ფრედ დაამთავრეს.

◆ პრაღა, 21 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის მძლეოსნებმა ამ დღეებში სამი ეროვნული რეკორდი დაამყარეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპის ამასწინანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ჰ. ფიბინგეროვას შედეგი — 21,30 მ ბირთვის კვრაში. ძველი რეკორდი 12 სანტიმეტრითაა გაუმჯობესებული. ასეთი მაჩვენებლისთვის წლეულს არავის მიუღწევია მსოფლიოში. ჰ. ვიხნალოვამ 32 სანტიმეტრით გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი, როცა ბადრო 60,06 მეტრზე ტყორცნა. ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში ასპარეზობისას ი. ვიჩიხლომ სამხტომში 16,68 მ აჩვენა, რაც ასევე ჩეხოსლოვაკიის რეკორდია.

## მძლეოსნობა

ლევერკუზენი (გფრ). აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შევინსკამ (პოლონეთი) თავისი ლაღი სირბილით კვლავ გააოცა სპეციალისტები და მაყურებლები. მან იოლად მოიგო 100 მეტრზე რბენა, ხელის წამზომებმა 11,0 წამი აღნიშნეს. ამ მანძილზე ვაჟთა შორის პირველი იყო ომერი (გფრ) — 10,2. აი, სხვა მაღალი შედეგები: სუშანი (იუგოსლავია) — 800 მ — 1.46,8; ფოიერბახი — ბირთვი — 20,78 მ; სტოუნზი (ორივე — აშშ) — სიმაღლეზე ხტომა — 225 სმ.

## ა. ქელდიშვილი



25 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ალექსი შოთას ძე ქელდიშვილი.

პირველ სერიოზულ წარმატებას სპორტში ალექსიმ 1966 წელს მიაღწია, როცა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. შემდეგ მან რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა საკავშირო სარბიელზე. 1971 წელს მან საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა, ერთი წლის შემდეგ კი თავი გამოიჩინა პროფკავშირების საკავშირო საბჭოს პირველობაში.

ა. ქელდიშვილი კარგად უთავსებდა ერთმანეთს სპორტსა და სწავლას. მან 1972 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მერე კი თბილვაჭრობის სამმართველოში მუშაობდა.

დაკვირვებული და მუყაითი სპორტსმენი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ყველგან. ამიტომაც მძიმეა ეს დანაკლისი მათთვის, ვინც კარგად იცნობდა მას — თავმდაბალ, საქმიან და ენერგიულ ახალგაზრდას.

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო.

## „საუკუნის ორთაბრძოლა" გადაიდო

როგორც ვიუწყებოდით, 25 სექტემბერს ზაირის დედაქალაქ კინშასაში უნდა გამართულიყო მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა, მსოფლიოს ექსჩემპიონის მ. ალისა და ამჟამინდელი ჩემპიონის ჯ. ფორმენის (ორივე — აშშ) ორთაბრძოლა სამყაროს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე.

მაგრამ „საუკუნის ორთაბრძოლა", როგორც ამ შეხვედრას უწოდეს თვით ალიმ, სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა, გადაიდო იმის გამო, რომ ერთ-ერთი საწვრთნელი მეცადინეობის დროს ფორმენის სპარინგ-პარტნიორმა რ. მაკმარეიმ შემთხვევით მოარტყა იდაყვი სახეში ჩემპიონს და წარბი გაუხეთქა. ჭრილობა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ექიმებმა ფორმენს სულ ცოტა ერთი თვით აუკრძალეს რინგზე გამოსვლა.

შეხვედრის გამართვას ოქტომბრის დამლევისთვის ვარაუდობენ.

# პელე და ჩიხირთმა?

— ჩიხირთმა, ადამიანო!...

— ბოზბაში-მეთქი, დედაკაცო!...

— ჩი-ხირ-თმა!..

— მაშ მაგ სიტყვაზე სდგეხარ — ჰკითხა გაჯავრებით ლუარსაბმა.

— ვდგევარ!

— რას ამბობ, დედაკაცო, ბოზბაში წვნიანების მეფეა, როგორც... როგორც თუნდაც დი სტეფანო ფეხბურთელებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ!

— აბა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ვგეც არ იცი: პელე თქმულა ფეხბურთის მეფედ და არა სტეფანო... სულ ეგრე სტყუი ხოლმე, — ნიშნის მოგებით უკივლა გახარებულმა კნეინამ.

„ ეს რა წამოვროშე, — შერცხვა ცოტა ლუარსაბსა. — მეთქვა ძველებურად თართი უფრო გავიტანდი, საპირგემო საკითხები დამუშავებული მაქვს, მაგრამ ამ დღეებში ყველა ფეხბურთით ცხოვრობს და თავი მოვიწონე... ეჰ, აღარ ღირს უკან დახევა, უნდა დავამტკიცო, რომ დი სტეფანო არის მეფე..."

— ვეჰო, პელე მეფე რომ იყოს, გაჭირვებაში სამწყსოს მიატოვებდა?! აფსუს ერეკლე ნეფევ! აბა, ვაჟკაცი ის იყო, მამის სული ნუ...

— სიტყვას ბანზედ ნუ აგდებ: პელეა-მეთქი, პელე — გაჰკივლა დარეჯანმა.

— აბა საიდან იცი რომ პელეა?

— შენ საიდანღა იცი, რომ დი სტეფანოა?

ამ შეკითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. ხსნა არ იყო! უნდოდა ეთქვა, კალენდარში სწერიაო, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია, სულ გადაბულბულებული აქვს „ფუტბოლ-ჰოკეი", „სპორტივეცი", „ლელო" და ველარ გაბედა. თანაც გაახსენდა: შვილის უყოლობით გამოწვეული სევდა რომ გაექარვებინა, დარეჯანმა კიროვის ბაღში სიარულს მოუხშირა და მოგეხსენებათ იქ დაბანაკებული ფეხბურთის ქომაგთა ამბავი: ნელ-ნელა შეაჩვია ყური, ბოლოს კი იმათი კამათის მოსმენა ჩიხირთმას არა, მაგრამ ბოზბაშს კი ნამდვილად ერჩია.

— იქნებ ისიცა სთქვა, რომ წლეულს სამხრეთამერიკული ფეხბურთი გაიმარჯვებს? — ფლანგიდან შეუტია კნეინამ.

— მაშ არა და!..

დარეჯანმა ქცევ გაიანგარიშა, რომ ევროპული ფეხბურთის უპირატესობის აღიარება და პელეს მეფობის დამტკიცება ჩიხირთმის გამარჯვებას უდრიდა და მედგრად შეუტია უკვე შეჭირვებულს ლუარსაბსა:

— მაშ კრუიფი, ბეკენბაუერი, დეინა?!

— დარეჯან მაისეევნა, — მანევრირება სცადა შევიწროებულმა ლუარსაბმა, — შენი კუჭისა, აი, შენ ჭკუიანი ქალი ხარ და ქართულ ფეხბურთზედ გაზრდილს ევროპელები რაში გეპიტნავება, ჰა? — და ჩიხში მოვიმწყვდიე მოპაექრეო, დივან-ტახტზე კუჭიბრუნა დაჰკრა ძველებურად.

— უი, თვალიც ეხლა დამდგომია, — შესჭყივლა დარეჯანმა, — სულ არ გამიოხრა იაპონური „ადიალები" ამ მართლა ლუარსაბმა! ზამბარები მაინც არ გეცოდება, შე ურჯულოვ, შენა?!

— შენ ტახტსა სჩივი, ჩემი სულის წიწმატო და აბა იმ უბედურს ვალკარეჯისა ჰკითხე, მგონი სახლ-კარი გადაუბუგეს უკვე და დივანს ვინ მისტირის, „ლევანკაც" აღარ შეარჩინეს ალბათ... ეგეც შენი ევროპააა!

— ჰოლანდია, გერმანია?! გაწიწმატდა ევროპელი კნეინა.

— დარეჯან! — ფიქრებში წავ:.და ქართველი იდალგო. — გამიგონია, ქართველები და ბასკები ნათესავები ვყოფილვართ...

— ეგ რა ჩემი სიტყვის პასუხია, მაგრამ ეგრე ამბობენ...

— ჰოდა, დაიჯერე, რომა ესპანელები რომ სამხრეთ ამერიკაში წავიდნენ, ბასკებს არ წაიყვანდნენ?

— თუნდაც რომ წაეყვანათ, მერმე რაო?

— რაო, შენი სულისა და, თუ ბასკები ჩვენი ბიძაშვილები არიან და ამერიკაში მოხვდნენ, თუშური ყველის დამზადებასაც დაიწყებდნენ. ჰოდა, როგორც ჰოლანდიური ყველი თუშურთან ვერ მოვა, ისე ნიდერლანდური ფეხბურთი ლაზათითა და პეწით — არგენტინულთან, თუნდაც რომ 9:2-ზედ მოიგონ. ოლოლო შენა, ხომ დაგიმტკიცე: მე ჩემი კუჭ-საზომით ვზომავ, მაშ!

უი, ქა, რა აბდაუბდა დაროშა, თქვენი ჭირიმეთ?! მეც არგენტინელებს დაეცათ და ბრაზილიელებსაც: სადაც წავლენ, თავიანთ მამულში მოწეული ღვინით და პურ-ღვინით მიაქვთ, თითქოს დასწამლვენ ან ... უხიმანკლებენ ფარსაგს... უფრო კი კუდი ყავარზე გაუდევთ და აღარ იციან რას სჩადიან. ჰო, ვენაცვალე ღმერთსა, იმიტომაც დაწვეს იმ თავისნათქვამა ზაგალოს ფიტული!

— შენ შენს ჭკუაზედ არა ხარ, დედაკაცო! მე რომ ლუარსაბი ვარ და ლუარსაბი, არც მე გიახლები სხვის ნახელავს, ჩვენი თედოს გარდა. ამოდენა კაცი მოვიყარე, დათოს დაკრეფილი ბოსტნეულ-ბალჩეულის მეტი, სხვისი არაფერი მიგემნია! შენ კი მისდგომიხარ და ქოქოლას აყრი იმ პატიოსანს მობურთალებს...

— კარგად ვიცი რა არგენტინული მუცლის გვრემაც გაქვს: „ბონბონიორას" ტრიბუნებზე რომ „სემიჩკის" მაგიერ შემწვარ ჩორისო-კუპატებს სანსლავენ და ნუნუას აყოლებენ, იმის ეშხით ჰომაგობ და არა იცი რა!

— ვეჰო, რა ცუდი რამეც ეგ არი... მაშ არა და „ლოკომოტივის" სტადიონია: ამას წინეებზე ჩხუბი გაუმდათ ვილაცეებს და სულ თავები დაუხეთქეს ერთმანეთს ნუვა-ხაჭაპურით... ·

— მაშ სამხრეთ ამერიკა და დი სტეფანო?! — მოთმინება გადაეწურა დარეჯანს.

— მაშ არა და შენი მაზლი დავითი და რძალი ელისაბედი...

— თუ ეგრეა, ეხლავ ადექი და ბალში წამომყე, მამლის ყივილამდე მილეთის ფეხბურთის ამბებს არჩევენ და იმათ გადაწყვიტონ! — პლედი მოისხა კნეინამ.

ლუარსაბისთვის, როგორც იცით, სიკვდილი იყო ჩაცმა და ძლიერ დაეზიღონდა, მაგრამ უცებ რაღაც იაზრა და დარეჯანს ხელი აუქნია.

— რას ამბობ, დედაკაცო, თითქოს არა გაგეგებოდეს რა! თავი და თავი

## ფელეტონი

გულშემატკივრები ზოგნი გერმანიას წავიდნენ და ბევრიც ტალინ — უჯგოროდს, სხვებისა კი არა მჯერარა: ეხლა ყველას ფეოლა ჰკონია თავი...

— როგორ თუ ტალინ — უჟგოროდს?!

— იციან ბიჭებმა პირის გემო: იქ ტელევიზორი ევროპას იჭერს და ყველა თამაშს ნახავენ. ეჰ, მამაშენი მაისეი წყალობდვიჩი „მოსკვიჩ-412"-ს დამპირდა და შენი თავი კი შემომატყუა. ვეჰო, მეც გავინავარდებდი ბალტიითისკენ, ღმერთი მიწყენდა?!

ამაზე მოუვიდათ კარგა ლაზათიანი ჩხუბი და ლუარსაბი იძულებული გახდა დაეთმო ბოზბაშიც, დი სტეფანოცა და სამხრეთამერიკული ფეხბურთიც.

— კარგი, შევრიგდეთ ჩემი სულის პენალტო, და რაც გინდა მთხოვე...

— იჰ, — გაინაზა დარეჯანი, — შენც კრუიფის ავტოგრაფიანი ბურთი არ შემომიგორო ხვალვე!

— კრუიფისა რა მოგახსენო, ჰა, დინამოელების ავტოგრაფებიანს კი, როგორც თასს აიღებენ, მეორე დღესვე მოგართმევ. ვეჰო, ყველა, ყველა, მაგრამ ნეტავი „დინამო" რასა ნიშნავს, ჰა? — ჰკითხა ლუარსაბმა თავის მეცნიერს მეუღლესა.

— კარაბადინში სწერია, „დინამო" ბერძნული სიტყვაა და ძალას ნიშნავსო...

— ეხლაც?

— ეხლაც და მუდამ...

— დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი, რას არ გაიგონებს კაცი!

მუსიკამ — „მანჩესტერიდან ლივერპულამდე" — მოპაექრეებს ამცნო „ვრემია" დამთავრდაო და ლუარსაბმა, ნიშნად სიამოვნებისა, კბილები გააკრაჭუნა. ხუმრობა საქმეა, ნაცვლად იმისა, რომ ბუზები ეთვალა, ფეხბურთს უყურებდა გერმანიიდან.

კახი პატიაშვილი.

რედაქტორი შ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14132